



კონსტანტინე კაპანელის ორგანოტროპისტული ფილოსოფია

ელეონორა ქვილითაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა ბერიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს, ბ-ნ გიორგი გვალიას

ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტის

ელეონორა ქვილითაიას

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელეონორა ქვილითაია

23.06.2016

აბსტრაქტი

კონსტანტინე კაპანელი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქმნიდა საკუთარ ახალსა და ორიგინალურ ფილოსოფიურ აზრს ქართულ სივრცეში. მისი აზრები საგულისხმო იყო, როგორც ფილოსოფიაში, ასევე ლიტერატურის კვლევაში. მის მიერ შემუშავებული „ორგანოტროპიზმი“ ფილოსოფიურ-სოციალური თეორიაა, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემო ხდება და ამას კაპანელი მაგალითებითვე განმარტავს თავის ნაშრომებში: „სული და იდეა“, „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები – ორგანოტროპიზმი“, „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“. მან ორგანოტროპიზმის პრინციპებით გაიაზრა ლიტერატურაც, ხელოვნებაც, ფილოსოფიაც და სხვა მრავალი სფერო ადამიანის ცხოვრებისა. ორგანოტროპიზმის პრინციპებით გამოიკვლია ქართულ ლიტერატურა, ფილოსოფია, ხალხთა ყოფა და შეეცადა ჩვენი კულტურის ადგილის გაგებას მსოფლიო კულტურაში. ასეთი ანალიზითა და კვლევებით კაპანელმა დაახასიათა ქართველი ერის სოციალურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ხასიათი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ მიმართულებით კვლევა უცხო იყო ქართულ სინამდვილეში.

ნაშრომის მიზანს ორგანოტროპისტული ფილოსოფიის გაშუქება, მის შინაარსზე საუბარი წარმოადგენს, ორგანოტროპიზმის ჩარჩოებში მოქცეული ცხოვრების ფორმების კაპანელისეული გარკვევა და იმ ისტორიული პერიოდის მიმოხილვა, რომელ პერიოდშიც იქმნებოდა კაპანელის შრომები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახალი ფილოსოფიური აზრი, ორგანოტროპიზმის სოციალურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თეორია.

Abstract

The text of abstract in English – In the second part of the 20th century Konstantine Kapaneli was creating in georgia area his own new and original philosophy thought. His thoughts were considerable also in philosophy and in the literature researches. His development “organotropism” is a social-philosophy theory, which includes everything what is happening around us, so Kapaneli explains it by examples in his work: “the soul and idea” , “basics of social aesthetic – organotropism”, “georgian soul in aesthetic faces”. He has comprehended literature, art, philosophy and other spheres of a human life by orantropism principles. By organotropizm principles he has made researches of georgian literature, philosophy, humans live and tried to find a place of georgian culture in the world’s one. By this analysis and researches Kapaneli described georgian nation’s social-philosophy and psichology character when this type of research was foreign in georgian reality.

This purpose of this work is to coverage organotropy philosophy, to talk about this content, to clear Kapanelis forms of life in organotropism frames and to overview this period of history, when Kapaneli’s works were creating.

Key words: new philosophy thought, social-philosophu and phichology theory of organotropism.